

# საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მართვის სქემის შემუშავება

პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია



2016

---

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების  
მართვის სქემის შემუშავება

---

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: ნუგზარ უფლისაშვილი, ანზორ დუნდუა



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: ნუგზარ უფლისაშვილი, ანზორ დუნდუა

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

---

ქვეყნის მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი მისი „ენერგეტიკული უსაფრთხოებაა“. ცნება „ენერგეტიკული უსაფრთხოება“ შეიძლება განიმარტოს, როგორც ხიფათის არარსებობა, ანუ მოსახლეობისა და მთლიანად სახელმწიფოს დაცვა ენერჯისა და ენერგეტიკული რესურსების ყველა სახის დეფიციტის გაჩენის საფრთხისგან, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ნეგატიური ბუნებრივი, ტექნოგენური, სოციალურ-ეკონომიკური, შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით. ცხადია, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში „ენერგეტიკული უსაფრთხოება“ სხვადასხვანაირად აღიქმება და განსხვავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ყალიბდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პირველადი ენერგორესურსებით ღარიბი ქვეყანა ვართ, ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც ტრანზიტულ ქვეყანას ძალზე მნიშვნელოვანი, რეგიონალური „ენერგეტიკული უსაფრთხოების“ გარანტის როლი გვაკისრია, ამიტომ ჩვენთვის ენერგეტიკული დერეფნის სტაბილურობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ჩვენთვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ქვეყნის საკუთარი ენერგეტიკული პოლიტიკა, ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების ცნებების სწორი, რეალისტური, გრძელვადიანი ხედვებით, რაც „საშინაო“ და „საგარეო“ პოლიტიკის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი უნდა გახდეს.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და თანამედროვე პირობებში მისი საერთაშორისო არენაზე ეკონომიკური და პოლიტიკური დამკვიდრება მოითხოვს ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტას. ამასთანავე, კრიზისული სიტუაციის შექმნის შემთხვევისთვის, უნდა განისაზღვროს ენერგეტიკული რესურსების სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმალური რაოდენობა და მის უზრუნველსაყოფად ქმედითი დამცავი მექანიზმი, რომელიც ამჟამად არ არსებობს. მისი შემუშავება მოითხოვს ამ პრობლემის სიღრმისეულ შესწავლასა და გაანალიზებას.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების სისტემის კომპლექსური შესწავლის, პრობლემების ფორმირების ანალიზისა და ამ მიზნების მისაღწევად დაისახა ამოცანები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ დოკუმენტის სტრუქტურას:

- განხილული იქნას „ენერგოუსაფრთხოების“ ადგილი და როლი საქართველოს მდგრადი განვითარების საკითხში;
- გაანალიზდეს საერთაშორისო „ენერგოუსაფრთხოების“ სისტემის ფორმირების პროცესი და მისი გავლენა საქართველოზე;
- წარმოჩინდეს „ენერგოუსაფრთხოების“ სისტემის როლი და ფუნქცია ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაში;
- გამოკვლევა ჩაუტარდეს მართვის სხვადასხვა დონეზე „ენერგო-უსაფრთხოების“ სისტემის თეორიულ საფუძვლებსა და მუშაობის მექანიზმებს;

- 
- გამოვლინდეს საქართველოს „ენერგოუსაფრთხოების“ სისტემის ფორმირებისა და მართვის თავისებურებები;
  - შემუშავდეს რეკომენდაციები და მექანიზმები ქვეყნის „ენერგოუსაფრთხოების“ დონის მუდმივი კონტროლის განსახორციელებლად.

საზოგადოდ, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მრავალნაზნაგოვანი, ძნელად გადასაწყვეტი სირთულეების სიმრავლიდან გამომდინარე, საქართველოს „ენერგოუსაფრთხოების“ უზრუნველსაყოფად უნდა გამოიყოს მეტნაკლებად ხელმისაწვდომი, პირველი რიგის შემდეგი საკითხების გადანწყვეტა:

1. შესასწავლია დარგის ახლანდელი მდგომარეობა შჭმთ ანალიზის შესრულებით, ამისთვის:
  - ა) უნდა ჩატარდეს კომპლექსური (ფინანსური და ტექნიკური) აუდიტი, გაკეთდეს ანალიზი და შემუშავდეს ღონისძიებები დარგის ფუნქციონირების უახლოეს პერსპექტივაში (მაგ. 1 წელი). ამისთვის საჭიროა ენერგოაუდიტის ინსტიტუტის შემოღება;
  - ბ) „ეკონომიკის ცალკეულ დარგებთან ენერგეტიკული კომპლექსის ორგანული კავშირი ენერგეტიკული ბალანსის მეშვეობით ხორციელდება. ენერგეტიკული ბალანსი ახასიათებს ამ კავშირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მხარეს. იგი მოიცავს ყველა სახის სათბობ-ენერგეტიკულ რესურსს“. აქედან გამომდინარე, ბალანსის დაგვიანება დაუმჯობესებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც გვიანდება 2015 წლის ოფიციალური ბალანსის გამოქვეყნება, რომლის მიხედვით უნდა დაიგეგმოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საჭირო რაოდენობა 2016/17 და მომდევნო წლებში.
2. დამთავრდეს მუშაობა ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ კანონპროექტებზე და ამ კანონების მიღება;
3. მარეგულირებელმა კომისიამ დაიწყო მუშაობა „მწვანე“ და დიფერენცირებული ტარიფების შემოღებაზე. ასევე, არსებული ტარიფების დასახვეწად, უნდა შეისწავლოს ლიცენზიანტების ძირითადი ფონდების მდგომარეობა და განეული დანახარჯები, რისთვისაც გამოიყენოს მე-3 (დამოუკიდებელი) პირის მონვევა (ტექნიკური აუდიტის შესასრულებლად);
4. განხორციელდეს საქართველოს რეგიონების ენერგეტიკული პასპორტების შედგენა;
5. საყოველთაოდ ცნობილი, ტექნიკური კადრების დეფიციტის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კვალიფიციური პერსონალის აღზრდას დევიზით: „კადრები ყველაფერს წყვეტენ!“
6. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული მთავრობის საქმიანობაში. დაიხვეწოს უსაფრთხოებისა და

---

კრიზისული სიტუაციების მართვის საბჭოს ეკონომიკური დეპარტამენტის ენერჯეტიკის სექტორის სფეროში შემავალი თემატიკა და სქემა.

7. ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესების მიზნით, გააქტიურდეს შიდაწვისძრავებიანი (უპირველესად, სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი) ავტომობილების გადაყვანა ბენზინიდან ბუნებრივ აირზე.

**საქართველოს ეროვნული პლატფორმა**

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: [np@ei-lat.ge](mailto:np@ei-lat.ge)

ვებგვერდი: [eap-csf.ge](http://eap-csf.ge)